

საქართველო ზუგდიდი რუხი
Грузия, Зугдиди Рухи
Georgia, Zugdidi, Rukhi

სს საქართველოს ბანკი ა/ა GE05BG0000000126570200GEL. საგადასახდო კოდი 220355835 CERERA2@YAHOO.COM ტელ: +995599 14 80 55

№11/09

„11,, „სექტემბერი,, 2022 წ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ცერერას (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 12 სექტემბერს

პატივისცემით

დირექტორი

ბესიკ ზაინდრაჟა

11.09.2022 г.

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

„ცერერა“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის

2021 წ.

ქ. ზუგდიდი

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
6. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2021	31.12.2020
განგრძობითი ოპერაციები			
ამონაგები	5	29 195 368	31 987 655
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(26 885 753)	(30 136 287)
		2 309 615	1 851 368
საერთო მოგება			
სხვა შემოსავალი		754 302	762 992
კომერციული ხარჯები	7	(753 323)	(835 679)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1 039 304)	(1 074 165)
სხვა ხარჯები	9	(361 287)	(1 063 122)
ფინანსური ხარჯები	10	(772 086)	(920 239)
მოგება დაბეგვრამდე		137 917	(1 278 845)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		137 917	(1 278 845)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(3 110 457)	(1 831 456)
წინა პერიოდების შეცდომების გასწორების შედეგი	11	25	(156)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(2 972 515)	(3 110 457)

დირექტორი

ბესიკ ხაინდრავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	6 662 837	7 070 352
არამატერიალური აქტივები	13	9 083	10 059
სულ გრძელვადიანი აქტივი		6 671 920	7 080 411
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	14	20 074 467	14 299 987
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	4 615 114	4 773 338
საგადასახადო მოთხოვნები	16	418 462	-
ფულადი სახსრები	17	341 548	104 384
სხვა მიმდინარე აქტივები		17 025	98 729
სულ მიმდინარე აქტივები		25 466 615	19 276 438
სულ აქტივები		32 138 535	26 356 849
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		(2 972 515)	(3 110 457)
სულ საკუთარი კაპიტალი		(2 972 515)	(3 110 457)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18	-	3 321 083
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	19	23 244 545	16 627 378
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		23 244 545	19 948 461
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	3 218 802	2 319 926
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	21	8 585 935	7 106 111
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22	61 768	92 808
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11 866 505	9 518 845
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		32 138 535	26 356 849

დირექტორი

ბესიკ ხაინდრავა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	42 352 805	43 270 694
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(38 263 499)	(38 303 219)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1 400 659)	(1 219 324)
გადახდილი გადასახადები	(953 141)	(2 439 267)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 735 506	1 308 884
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(39 829)	(188 622)
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	131 586	3 130
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	91 758	(185 493)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, იპოთეკური კრედიტებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	7 089 485	9 645 369
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;	(8 651 659)	(10 945 232)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 562 174)	(1 299 864)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი	(27 926)	(55 162)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	237 163	(231 633)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის დასაწყისისათვის	104 384	336 018
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტები წლის ბოლოსათვის	341 548	104 384

17

დირექტორი

ბესიკ ხაინდრავა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ცერერა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, (რეგისტრაციის ნომერი: 14/4-528; თარიღი: 20/01/2004წ). საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ., №99. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ზუგდიდის მუციპალიტეტი, სოფ. რუხი. საწარმო დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ხორბლის ფქვილის წარმოება და რეალიზაცია. ასევე იგი, ინდივიდუალური ბინათმესაკუთრებისათვის მისაწოდებლად, აშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელი სახლს.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.1 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები და ნაგებობები -	1-5%
მანქანა დანადგარები -	5-20%
ძაღოვანი მოწყობილობები -	5-20%
სატრანსპორტო საშუალებები -	7-15%
ოფისის აღჭურვილობა -	5-12%

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება 10-15 პროცენტიანი წლიური განაკვეთი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.4 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „საშუალო შეწონილი“ (საშუალო) მეთოდი.

3.5 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

3.6 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება განაწილებული მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების შედეგების შეფასების აუცილებლობა უფრო მწვავედ დააყენა Covid 19-ის პანდემიამ. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღისათვის, ხელმძღვანელობამ იმსჯელა იმის შესახებ, პანდემიის გავლენით აქტივები და ვალდებულებები, ხომ არ ექვემდებარება მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ მათი საბალანსო ღირებულება შესაძლოა არსებითად შეიცვალოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

Covid 19-ის პანდემიის გარემოში საქმიანობის ორწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საანგარიშგებო მუხლების შეფასება ნაკლებად მგრძნობიარეა მომავალი განუსაზღვრელი მოვლენების მიმართ. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების შეფასება, რომელიც ეყრდნობა ანაზრაურებადი ღირებულების სიდიდეს, დამოკიდებულია მომავალ ფულად ნაკადებზე. საწარმოს გააჩნია სტაბილური ფუნქციონირების რესურსები და ხელმძღვანელობის შეფასებით ნაკლებად მოსალოდნელია, რომ პანდემიის მიმართ მგრძნობიარე აღმოჩნდეს საწარმოს საქმიანობა და მისი რესურსების გამოყენების ხასიათი. თუმცა, გარკვეული განუსაზღვრელობა მაინც არსებობს Covid 19-ის პანდემიის გავლენის შედეგებთან დაკავშირებით.

საწარმოს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, მის პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირება პანდემიის გავლენით არაა მოსალოდნელი, მაგრამ არსებობს მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის გაუარესების გავლენა პროდუქციის ფასზე. ასევე, არსებობს განუსაზღვრელობა პანდემიის პირობებში პურპროდუქტებზე ფასების შენარჩუნების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირების ხანგრძლივ შესაძლებლობებთან მიმართებით.

ცხადია, რომ საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებისას შეუძლებელია განუსაზღვრელობის გავლენის რაოდენობრივი შეფასება. მაგრამ, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მომავალ ფინანსურ წელს მიღებული შედეგები იმდენად განსხვავებული ვერ იქნება, რომ განაპირობოს საწარმოს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება.

5. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	საქონლის გაყიდვა	28 374 107	31 922 027
2	მომსახურების გაწევა	26 823	65 628
4	მარაგის და სხვა აქტივების რეალიზაცია	180 850	-
5	სუბსიდირება	613 589	-
	ჯამი:	29 195 368	31 987 655

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	გაყიდული/შემენილი საქონელი	(26 752 219)	(30 135 561)
2	მეორადი ლითონის რეალიზაცია	(1 947)	-
3	ძირითადი საშუალება (მარაგი) რეალიზაცია	(131 586)	-
4	რემონტის დანახარჯები	-	(696)
5	სხვა საოპერაციო ხარჯები	-	(31)
	ჯამი:	(26 885 753)	(30 136 287)

7. კომერციული ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	მარაგის ხარჯი	(140 077)	-
2	შრომის ანაზღაურება	(381 149)	-
3	ცვეთის-ამორტიზაციის ხარჯი	(45 325)	-
4	შემენილი მომსახურების ხარჯი	(140 812)	(561 075)
5	კომუნალური ხარჯი	(31 367)	(34 186)
6	სხვა ხარჯები	(14 594)	(240 418)
	ჯამი:	(753 323)	(835 679)

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	მარაგის ხარჯი	(26 348)	-
2	შრომის ანაზღაურება	(666 523)	(667 315)
3	ცვეთის-ამორტიზაციის ხარჯი	(97 959)	(96 079)
4	შემენილი მომსახურების ხარჯი	(79 612)	(82 136)
5	საოფისე ინვენტარი და მარაგი	-	(2 988)
6	კომუნიკაციის ხარჯები	(1 146)	-
7	დაზღვევის ხარჯი	(43 673)	(35 015)
8	სხვა საგადასახადო ხარჯი	(57 172)	(62 209)
9	საექვო მოთხოვნების გაუფას. ზარალი	(49 172)	-
10	აუდიტის ხარჯი	(16 000)	(16 000)
11	სხვა ხარჯები	(1 700)	(112 423)
	ჯამი:	(1 039 304)	(1 074 165)

9. სხვა ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	საკურსო სხვაობები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების საკურსო სხვაობების გამოკლებით	(346 692)	(1 037 391)
2	ბანკის მომსახურების ხარჯი	(14 594)	(14 737)
3	სხვა ხარჯი	-	(10 994)
	ჯამი:	(361 287)	(1 063 122)

10. ფინანსური ხარჯი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
	ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ხარჯები	(772 086)	(920 239)
	ჯამი:	(772 086)	(920 239)

11. წინა პერიოდების შეცდომების გასწორება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილია ცვლილება სააანგარიშგებო პერიოდში გამოტოვებული აღურიცხავი სამეურნეო ოპერაციების შემდგომ პერიოდში აღურიცხვის შედეგად. შეტანილი ცვლილებების გავლენა ფინანსური ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაზე მოტანილია ქვემოთ.

	დასახელება	2021 წელი			2020 წელი		
		კორექტი-რებამდე	კორექტი-რების შემდეგ	სხვაობა	კორექტი-რებამდე	კორექტი-რების შემდეგ	სხვაობა
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	-	(25,00)	(25,00)	(1 831 456)	(1 831 612)	(156)
2	ვალდებულებები საპენსიო ფონდის შენატანებზე	-	-	-	6 392	6 548	156
3	მიწოდების სხვა ხარჯები საწვავი	22,43	-	22,43	-	-	-
4	სხვა ხარჯების ცვლილებები	2,57	-	2,57	-	-	-
	სხვაობის ჯამი			0,00			0,00

12. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	შენობა	ნაგებობა	მანქანა დაანდგარები	ოფისის აღჭურვილობა	ტრანსპორტი	სხვა	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება								
ნაშთი: 01.01.2021	2685070	637504	477076	3799516	68528	331410	16904	8016007
შემოსვლა	-	5 751,29	-	38 879,16	9 593,61	-	1 525,42	55749
გასვლა	-	-	-	(315 024,30)	-	(6 652,37)	(1 822,03)	(323499)
ნაშთი: 31.12.2021	2685070	643255	477076	3523370	78121	324758	16607	7748258
აღიარებული ცვეთა								
ნაშთი: 01.01.2021	0	58681	88797	548508	34503	206706	8460	945655
ცვეთის დარიცხვა	-	14 771,88	19 435,24	117 341,53	11 921,27	46 234,44	2 273,54	211978
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	(68 375,60)	-	(3 043,61)	(793,20)	(72212)
ნაშთი: 31.12.2021	0	73453	108232	597474	46424	249897	9941	1085421
საბალანსო ღირებულება								
სნდ-31.12.2020	2685070	578823	388279	3251007	34025	124704	8444	7070352
სნდ-31.12.2021	2685070	569803	368844	2925896	31697	74860	6667	6662837

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
 - (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
 - (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.
- მე - 10 შენიშვნაში მოტანილი ძირითადი საშუალებები საწარმოს სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დატვირთულია იპოთეკით.

13. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	31.12.2020
	შეძენის ღირებულება				
1	საბუღ. პროგ. „ინფო საწარმო“	5 932	-	-	5 932
2	FMG პროგრამა (მშენებლობა)	6 800	-	-	6 800
	ჯამი	12 732	-	-	12 732
	ამორტიზაცია	31.12.2021	დარიცხვა	ჩამოწერა	31.12.2020
1	საბუღ. პროგ. „ინფო საწარმო“	2 166	297	-	1 869
2	FMG პროგრამა (მშენებლობა)	1 484	680	-	804
	ჯამი	3 650	976,61	-	2 673
	საბალანსო ღირებულება	9 083		0	10 059

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ამორტიზაციის თანხის გამოკლებით.

14. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	ნედლეული და მასალები	1 680 869	262 312
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	16 152 236	12 949 605
3	მზა პროდუქცია	1 678 807	325 774
4	სხვა მარაგი	562 555	762 295
	ჯამი	20 074 467	14 299 987
	პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	<u>27 065 099</u>	<u>30 319 873</u>

საწარმოს მთელი ამჟამად არსებული და სამომავლოდ შესაძენი ნებისმიერი მოძრავი ქონება წარმოადგენს გირავნობის ობიექტს.

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	სავაჭრო დებიტორები	1 763 457	2 316 662
2	გაუფასურების ზარალის თანხა	(519 880)	(476 097)
3	წინასწარი გადახდები	37 420	1 188 698
4	მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	3 320 775	1 741 954
5	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	13 002	2 121
6	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	340	-
	ჯამი:	4 615 114	4 773 338

მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან წარმოადგენს მშენებარე საცხოვრებელი სახლის მომავალი ბინათმესაკუთრებისაგან მისაღებ ჯამურ თანხას.

16. სასაგადასახადო მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
	დასახელება		
1	მოგების გადასახადი	(802)	-
2	საშმოსავლო გადასახადი	(1 096 082)	779 506
3	გადასახდელი დღგ	1 594 772	(772 643)
4	შემოწმებით დარიცხული საგადასახადო ვალდებულება	-	90 000
5	შუალედური ანგარიში დღგ	243 698	-
6	ქონების გადასახადი	(292 415)	174 942
7	შენატანები საპენსიო ფონდში	(30 709)	9 495
	ჯამი:	418 462	281 300

17. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	ფულადი სახსრები სალარაოში	79 429	5 379
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	260 279	97 463
3	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ვალუტა	1 840	1 543
	ჯამი	341 548	104 384

18. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	სავალო ინსტრუმენტების პირობები	სესხის ვალუტა	ნაშთი 31.12.2020		განაკვეთი %	დაფარვის ვადა	გადახდის გრაფიკი
			უცხოური ვალუტა	ლარში			
	ბანკის გრძელვადიანი სესხი						
1	სს „საქართველოს ბანი“ - 3159945	USD	60 753	199 064	8,0	2022	2022
2	სს „საქართველოს ბანი“ - 4571687	USD	652 822	2 139 038	8,0	2022	2022
3	სს „საქართველოს ბანი“ - 6914124	USD	300 000	982 980	8,0	2022	2022
	ჯამი:		713 576	3 321 082			
	სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2021 წელში		-	-			

19. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

მუხლი მოიცავს გადავადებულ შემოსავლებს, რომელიც მშენებარე ბინის მომავალ მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფინანსური ვალდებულების აღიარებით წარმოიშვა.

1	2020 წელი	გადავადებული შემოსავლები ბინათმშენებლობიდან	ნაშთი - 31.12.2020	16 627 378
2	2021 წელი	გადავადებული შემოსავლები ბინათმშენებლობიდან	ნაშთი - 31.12.2021	23 244 545
3	2021 წელი	გადავადებული შემოსავლები ბინათმშენებლობიდან	ნაშთის - ზრდა	6 617 167

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	სავაჭრო ვალდებულებები	3 218 802	2 293 492
2	ვალდებულება პერსონალის წინაშე	-	1 056
3	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	25 378
	ჯამი:	3 218 802	2 319 926

21. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	სავალო მოკლევადიანი პირობები	სესხის ვალუტა	ნაშთი 31.12.2021		განაკვეთი %	დაფარვის ვადა	გადახდის გრაფიკი
			უცხოური ვალუტა	ლარში			
1	2	3	4	5	6	7	8
1	სს „საქართველოს ბანი“ - 3159915	USD	782000	2 422 323	8,0	12თვე	02.12.2022
2	სს „საქართველოს ბანი“ - 3159945	USD	71488	221 441	9,7	6 თვე	23.06.2022
3	სს „საქართველოს ბანი“ - 4571687	USD	651145	2 016 986	11,0	6 თვე	20.06.2022
4	სს „საქართველოს ბანი“ - 6I 93695	USD	67169	208 064	8,0	12თვე	02.12.2022
5	სს „საქართველოს ბანი“ - 7601479	USD	900000	2 787 840	7,0	7 თვე	01.07.2022
6	სს „საქართველოს ბანი“ - 6914124	USD	300000	929 280	8,0	7 თვე	01.07.2022
	სულ ბანკის მოკლევადიანი სესხები		2 771 802	8 585 935			
1	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	USD	643	1991		1 თვე	25.01.2022
2	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	USD	63	194		1 თვე	25.01.2022
3	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	USD	2569	7957		3 თვე	01.03.2022
4	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	USD	14	43		1 თვე	03.01.2022
5	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	USD	1726	5347		1 თვე	21.01.2022
6	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	USD	263	815		1 თვე	26.01.2022
	ჯამი:		5 277	16 346			

22. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	ვალდებულება პერსონალის წინაშე	46 770	-
2	გადასახდელი დარიცხული პროცენტი	14 998	92 808
	ჯამი:	61 768	92 808

23. პირობითი ვალდებულებები

საწარმო არის მის მიერ აშენებული მრავალბინიანი კორპუსის მომავალი მესაკუთრეების მიერ ბანკიდან აღებული სესხის თავდები.

მომავალი მესაკუთრეების მსესხებელთა მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავის სესხის და პროცენტის ნაშთი შეადგენს 300407 ლარს.

არსებობს განუსაზღვრელობა იმასთან მიმართებით, წარმოეშება თუ არა საწარმოს ვალდებულება რომელიმე მსესხებლის მიერ სესხის გადაუხდელობის გამო. ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაშიც, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საწარმოს რისკი უმნიშვნელო იქნება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსესხებლებზე ბინები არაა გადაფორმებული და იგი საწარმოს საკუთრებაში დარჩება სესხზე ვალდებულების დაფარვამდე და თავდებობის გაუქმებამდე.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) შპს „ცერერა“-ს მაკონტროლებელი ურთიერთობები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის 100%-ის მფლობელია ერთი ფიზიკური პირი.


ბ) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

შემდეგ ცხრილში მოტანილია ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების შესახებ.

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები (ლარი)	258 572	207 909

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ცერერა“-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 12 სექტემბერს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
„ცერერა“

მმართველობითი ანგარიშგება
საქმიანობის მიმოხილვა

შინაარსი

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI - გარემოს დაცვა
8. თავი VII - ძირითადი რისკები.

შპს „ცერერას“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

წარმოგიდგენთ შპს „ცერერას“-ს 2021 წლის საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით. შპს „ცერერას“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 2004 წლის 20 იანვრიდან, საწარმოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგისტრაციის დღიდან, (რეგისტრაციის ნომერი: 14/4-528).

2004 წელს შპს ცერერა-სა და ს.ს ინტელექტბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მათ საკუთრებაში არსებული წისქვილქარხნის იჯარით აღების თაობაზე, მისი შემდგომი ამოსყიდვის უფლებით.

ს.ს. ინტელექტ ბანკი-ს და ს.ს. საქართველოს ბანკის შრწყმის შემდგომ საქართველოს ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება არსებული ქონების - წისქვილქარხნის გაყიდვაზე. შპს ცერერას ხელმძღვანელობამ სს ლიბერთი ბანკის მიერ გაცემული სესხის საშუალებით მოახდინა 2008 წელს ზემოთხსენებული ქონების შეძენა.

შეძენილი წისქვილარხანა აღჭურვილი იყო საბჭოური მანქანა დანადგარებით რომელიც ფიზიკურად და მორალურად იყო გაცვეთილი. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 2009 წელს მოხდა ძველი დანადგარების დემონტაჟი და დავამონტაჟეთ თანამედროვე ტიპის მაღალი ხარისხის ტექნოლოგიური დანადგარები რომლის დღედამური წარმოება შეადგენს 100 ტონა ხორბლის გადამუშავებას, ასევე შეძენილ იქნა თანამედროვე ტიპის დაფასოების ავტომატური სისტემა წარმადობით 24 ტონის დაფასოება საათში.

ორი წლის მუშაობის შედეგად საწარმოს მიერ წარმოებულმა პროდუქციამ ხარისხის კუთხით მომხმარებლის მიერ მაღალი შეფასება დაიმსახურა. შესაბამისად, პროდუქციაზე ყოველდღიურად იზრდებოდა მოთხოვნილება, წარმოება კი შეზღუდული იყო. რამაც საწარმოს ხელმძღვანელობა მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ 2011 წელს დამატებით შეძენილ იქნა 200 ტონიანი საწარმოო ხაზი და წარმოებაში შევიდა 2011 წლის დეკემბრის თვეში. ასევე გაჩნდა აუცილებლობა ხორბლის მარაგების შესაქმნელად ხორბლის საცავის მოცულობის გაზრდაზე. შესაბამისად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 2014 წლი ზაფხულში აშენებულ იქნა 21500 ტონის ტევადობის ხორბლის საცავი.

მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით ჩვენს მიერ შეძენილ იქნა სხვადასხვა ტვირთამწეობის 9 ერთეული სატვირთო ავტომანქანა, რის საშუალებით უფრო გავაუმჯობესეთ მომხმარებლის მომსახურება, რამე თუ ჩვენი ტრანსპორტით ვაწვდით მზა პროდუქციას მომხმარებელს. ამით მომხმარებელს შევუქმენით კომფორტული პირობა, ტრანსპორტირების ხარჯი შედის პროდუქციის ღირებულებაში. უნდა აღინიშნოს სს საქართველოს ბანკის წვლილი ყველა გადაწყვეტილების აღსრულებაში ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში. დღემდე გრძელდება სს საქართველოს ბანკსა და შპს ცერერას შორის პარტნიორული ურთიერთობა.

ასევე აღსანიშნავია საწარმოს წარმატებაში თანამშრომლების უდიდესი წვლილი, რომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად იქნა მიღწეული ის შედეგი, რომელიც გამოიხატა ქვეყნის მასშტაბით ერთერთი საუკეთესო პროდოქციის წარმოებაში. საწარმო თავისი წარმოებული პროდუქციით უზრუნველყოფს ქვეყნის ბაზრის მოთხოვნის 8%-ს.

ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 72 თანამშრომელი.

მიღწეული შედეგები გვამღევეს რწმენას, რომ ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საწარმო შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საწარმოს განზრახული აქვს 2022 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ტექნიკის განახლებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, დამკვეთების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

მიმაჩნია, რომ შპს „ცერერას“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

შპს „ცერერა“-ს

დირექტორი

ბესიკ ხაინდრავა

თავი I

საქმიანობის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილის 100%-ის მფლობელია ფ/პ ბესიკი ხაინდრავა.

საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებია:

- ა) საერთო კრება,
- ბ) დირექტორი.

საერთო კრება

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

საერთო კრება ტარდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

საერთო კრების ძირითადი ფუნქციებია:

- ა) აკონტროლოს დირექტორის საქმიანობა;
- ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები, ხელშეკრულებები, საოფისე, სასაწყობო თუ სამშენებლო ობიექტები.
- გ) შეამოწმოს წლიური ანგარიშები, მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია შპს „ცერერას“ მდგომარეობის შესახებ.


საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ცერერას“ ძირითადი საქმიანობაა ხორბლის გადამუშავება და მოიცავს შემდეგ შემდეგ ტექნოლოგიურ პროცესს:

1. ხორბლის შეძენა-დასაწყობება
2. ხორბლის გამზადება-ხორბლის გამწმენდ განყოფილებაში.
3. გამზადებული ხორბლის გადამუშავება/დაფქვა - დაფქვის განყოფილება.
4. მზა პროდუქციის დაფასოება სათანადო წონებად - დაფასოების განყოფილებაში.
5. მზა პროდუქციის გადაცემა მზა პროდუქციის საწყობში სახეობების მიხედვით.



ხორბლის გამზადება-ხორბლის გამწმენდ განყოფილებაში.

წარმოების პროცესში ხდება ხორბლის გამზადება დასაფქვავად, რის შემდგომაც გამზადებული ხორბალი ჩერდება დაყოვნების სილოსებში 24 დან-36 სთამდე.

დაფქვის განყოფილება.

გამზადებული ხორბლის გადამუშავება-დაფქვა.

ხორბლის გადამუშავება ხდება 2 საწარმოო ხაზით: 200 ტ და 100 ტ საწარმოო ხაზი.

საწარმოში მისი ფაქტიური დატვირთვის გამო ფაქტობრივად მუშაობს 200 ტ საწარმოო ხაზი, ხოლო მოთხოვნილების გაზრდის შემთხვევაში - საჭიროების შემთხვევაში საწარმოს შეუძლია ჩართოს და ამოქმედოს დამატებით 100 ტ საწარმოო ხაზი.

ხორბლის გამოსავლიანობის და ტექნოლოგიური გადამუშავების შედეგად შეიძლება მივიღოთ პროდუქცია შემდეგი სახით და შეფუთვით.

დასახელება	შეფუთვები კგ
ექსტრა	50;25;10;5
უმაღლესი	50;25
ფქვილი პირველი ხარისხის	50;25
მანანის ბურღული	25
სერი ფქვილი მე-2 ხარისხის	25
ქატო	20;25
შავი ფქვილი	25
დამტვრეული ხორბალი	30
ნარჩენი	ნაყარი

მიღებული პროდუქცია ასორტიმენტის შესაბამისად თავსდება შესაბამის საცავში. მზა პროდუქციის დაფასობამდე შესანახად საწარმოს გააჩნია 12 ცალი 40 ტონიანი ფა 2 ცალი 30 ტონიანი საცავი ბუნკერი.

მზა პროდუქციის დაფასობა სათანადო წონებად ხდება დაფასობის განყოფილებაში.

მზა პროდუქციის საწყობიდან პროდუქციის გადაცემა რეალიზაცია

მზა პროდუქცია წისქვილის საამქროდან გადაეცემა მზაპროდუქციის საწყობში შესაბამისი დაფასობით. რის შემდეგაც გადის შესაბამის მომხმარებლებზე.

რეალიზაცია ხდება:

1. ძირითადი საწყობიდან საცალო და საბითუმო მიწოდებით.
2. მყიდველებისათვის ადგილზე მიწოდებით - დისტრიბუციით. რასაც ემსახურება 3 ერთეული 28,5 ტონის, 1 ერთეული 15 ტონის, 1 ერთეული 13 ტონის ტვირთამწობის ავტომანქანა.

2021 წელს საცალო და საბითუმო გაყიდვები ხდებოდა ქ. ზუგდიდში.



2017 წლის ივნისის ბოლოს საწარმომ ქ. თბილისში შეიძინა 3008 კვ მეტრი მიწის ნაკვეთი და ნებართვა ამ მიწაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობა საწარმოს საწმინაობის ახალ სფეროს წარმოადგენდა, პროცესი შეუფერხებლად და წარმატებით მიმდინარეობდა მთელი 2017-2021 წლების განმავლობაში და 2022 წლის ბოლოსთვის იგეგმება პროექტის დასრულება

თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;
- არამატერიალური აქტივების - ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენება.

განვითარების რესურსები:

- საკმარისი ტექნიკა გააჩნია საწარმოს მაღალი ხარისხის ხორბლის ქვილის წარმოებისათვის.
- საწარმოს დარეგულირებული აქვს ხორბლის მუდმივი მოწოდების პროცედურები.
- შენარჩუნებულია მუდმივი მარაგის ოდენობა და მზა პროდუქცია ასორტიმენტის მიხედვით.
- არსებული რესურსები საკმარისია გარანტირებული სამუშაოების საწარმოებლად.
- ხორბლის ფქვილის სხვადასხვა ასორტიმენტის საწარმოებლად წარმოებაში გამოიყენება ინოვაციური ტექნოლოგია, რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

წისქვილის საამქრო - განახლებული, მოთხოვნებთან და სტანდარტებთან შესაბამისია. ის მუშაობს სრულად ავტომატურ რეჟიმში. ზუსტად იცავს რეცეპტით მიცემულ ნორმებს, რაც გარანტიაა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების.

ხორბლის ქვილის ასორტიმენტის მიიხედვით დაფასოების ახალი მექანიზმები სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, არის ავტომატური მიწოდების ხაზი და მნიშვნელოვნად ამცირებს თანამშრომელთა ფიზიკურ შრომას და დატვირტვას, ასევე ავტომატიზირებულია სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფით დასაწყობების პროცესები და მზა პროდუქციის გაცემის პროცესი.

მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:

ხორბლის მარცვალის საფქვავე ქარხანა გადაიარაღებულია არსებულ ქარხნებს შორის, პროდუქციის გამომშვეები მანქანა დანადგარების მეშვეობით სრულად შეიცვალა ხარისხის მართვის სისტემა.

გაახლდა და დაემატა ხორბლის შესანახი ელევატორები, ხორბლის შიდა ტრანსპორტირების, გამწმენდი და დაფქვისათვის მოსამზადებელი სისტემა.

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებზე მუშაობს კადრების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

საწარმოში დანერგილია საათობრივი ანაზღაურება. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა, კერძოდ, მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის დისციპლინარული ზომა განსაზღვრულია გაფრთხილებიდან-განთავისუფლებამდე.

შპს „ცერერა“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საწარმო უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. საწარმოს მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას.

საწარმო ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

საწარმოს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საწარმოსთვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საწარმოს საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ადამიანის უფლებების დაცვა

შპს „ცერერა“ იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საწარმოს თითოეულ განყოფილებაში და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

შპს „ცერერა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.



თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

1. შემოსავლების დინამიკა 2016 წლიდან 2021 წლის ჩათვლით

1	2016 წელი	25 765 237
2	2017 წელი	29 852 528
3	2018 წელი	29 373 220
4	2019 წელი	26 258 65
5	2020 წელი	31 987 655
6	2021 წელი	29 195 368

2. ხორბლის გადამუშავებით მიღებული შედეგები 2021 წელში.

დასახელება	რაოდენობა (კგ)
1 გადამუშავებული ხორბალი	28 262 304
2 წრმოებული პროდუქცია	
ა) ხორბლის ფქვილი	20 695 060
ბ) ქატო და სხვა თანმდევი პროდუქტი	7 836 595



თავი VI გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად საწარმო ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

საწარმო გამუდმებით ცდილობს თავიდან აიცილოს, მინიმუმამდე შეამციროს და შეარბილოს მისი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. საწარმო მიმართავს კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც მისი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

თავი VII ძირითადი რისკები

რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

საწარმო აწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს. რისკის ძირითადი სახეებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საწარმოს რისკების მართვა კოორდინირებულია ხელმძღვანელობასთან და ფოკუსირებულია მოკლე და საშუალოვადიანი ფულადი ნაკადების უზრუნველყოფაზე.

საწარმო ჩართული არ არის ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და მთავარი ფინანსური რისკები რომელსაც საწარმო აწყდება წარმოდგენილია ქვემოთ:

საბაზრო რისკის ანალიზი

საწარმოს საბაზრო რისკები განპირობებულია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. უფრო კონკრეტულად კი სავალუტო თუ საკრედიტო რისკებით, რაც განპირობებულია მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის მგრძნობელობა

საწარმო გაყიდვის ოპერაციებს ახორციელებს ეროვნულ ვალუტაში, საწარმო ხორბლის შესაძენად ხშირად იყენებს უცხოურ ვალუტას, ასევე გააჩნია სასესხო ვალდებულება უცხოურ ვალუტაში და პერიოდულად ფლობს ფულად სახსრებს უცხოური ვალუტაში. სავალუტო რისკების შემცირებისათვის საწარმო მუდმივად ახდენს უცხოურ ვალუტის ფულადი ნაკადების მონიტორინგს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს, რომ ხელშეკრულების მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ნაკისრი ვადებულებების შესრულებას. საწარმო განიცდის საკრედიტო რისკებს ფინანსური აქტივებიდან რომელიც მოიცავს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებსა და ექვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკების მართვა

საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება საწარმოს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისად. ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება მსხვილ და სანდრო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. საწარმო მუდმივად აკვირდება კლიენტების საკრედიტო ხარისხს და მისი პოლიტიკაა მხოლოდ ღირსეულ კონტრაქტორებთან ურთიერთობა, საკრედიტო პირობები მოიცავს 60 დღიან დიაპაზონს. მიმდინარე საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება ხანდაზმულობის ანალიზის და კლიენტების საკრედიტო ლიმიტის მიმოხილვით. სავარაუდო საკრედიტო დანაკარგების გაზომვისას, სავაჭრო მოთხოვნა ფასდება ინდივიდუალურად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება როცა აღარ არსებობს მათი ანაზღაურების გონივრული მოლოდინი ან ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან 3 წლის განმავლობაში ანაზღაურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს გადაუხდელობის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს რომ საწარმო ვერ შეასრულებს ნაკირს ვადადამდგარ ფინანსურ ვალდებულებებს. საწარმო ხელმძღვანელობა ახორციელებს ვალდებულებების მონიტორინგს, ისევე როგორც ფულადი სახსრების შემოძინებისა და გადინების მონიტორინგს ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში.

Covid - 19-ის პანდემიის გავლენა

შპს ცერერას ეკონომიკურ მდგომარეობაზე covid - 19-ის პანდემიას, ხორბლის გადამუშავების კუთხით, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობაზე წინა წელთან შედარებით უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. თუ არ გავითვალისწინებთ ფასების ზრდას ნედლეულზე და სხვა დამხმარე მასალებზე, რამაც განაპირობა ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ფასის შესაბამისი ზრდა.

რაც შეეხება ბინათმშენებლობის თემას, covid - 19-ის პანდემიის გამო ქვეყანაში არსებულმა სხვადასხვა რეგულაციებმა და სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდამ არსებითი გავლენა იქონია როგორც მშენებლობის პროცესის დასრულებაზე ასევე ბინების რეალიზაციაზე. covid - 19-ის პანდემიის შედეგად ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, განაპირობა ბინებზე მოთხოვნის შემცირება, რამაც შესაძლოა არასასურველი გავლენა იქონიოს შპს ცერერას ფინანსურ მდგომარეობაზე.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ცერერას“ დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2022 წლის 12 სექტემბერს.



**დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა**

**შპს ცერერას
დამფუძნებელს**

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ცერერას ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ცერერას ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ შპს ცერერას აუდიტორებად დავგნიშნეს 2021 წლის 18 დეკემბრის შემდეგ და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. კორონავირუსის პანდემიით შექმნილი გარემოების გამო, ჩვენ ვერ შევძელით შერჩევითი ინვენტარიზაციის ჩატარება ალტერნატიული მტკიცებულების მოსაპოვებლად და ვერ დავრწმუნდით 2021 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 20 074 467 ლარის ღირებულებებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს ცერერასგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს ცერერას ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ცერერას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ცერერას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ცერერა უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით შპს ცერერა ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ: გავცენოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია; და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს მმართველობის ანგარიშგება.

ჩვენი ვალდებულებაა ასევე, განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე


ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების თანხვედრილია.

აუდიტორი

კ. დათიაშვილი

12 სექტემბერი 2022 წ.

შ.პ.ს. „ცერერა“
O.O.O. „ЦЕРЕРА“
L.T.D. „CERERA“



საქართველო ზუგდიდი რუხი
Грузия, Zugdidi, Rukhi
Georgia, Zugdidi, Rukhi

სს სამართველოს ბანკი ა/ა GE05BG000000126570200GEL, საბანკო სახელი 220355835 CERERA2@YAHOO.COM ტელ: +995599 14 80 55

№11/09

„11,, „სექტემბერი,, 2022 წ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ცერერას (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 12 სექტემბერს

პატივისცემით

დირექტორი

ბესიკ ხაინდრავა

11.09.2022 წ.

შპს ცერერა, სამართველო ზუგდიდი რუხი
O.O.O. „ЦЕРЕРА“ 2100 Грузия Zugdidi Rukhi
L.T.D. „CERERA“ 2100 Georgia Zugdidi Rukhi
swift code: BAGAGE22 iban number: GE05BG000000126570200
tel: 220355835 tel: +995599148055 E-mail: cerera2@yahoo.com

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	42 352 805	43 270 694
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(38 263 499)	(38 303 219)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1 400 659)	(1 219 324)
გადახდილი გადასახადები	(953 141)	(2 439 267)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 735 506	1 308 884
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(39 829)	(188 622)
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	131 586	3 130
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	91 758	(185 493)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, იპოთეკური კრედიტებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	7 089 485	9 645 369
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	(8 651 659)	(10 945 232)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 562 174)	(1 299 864)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი	(27 926)	(55 162)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	237 163	(231 633)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისათვის	104 384	336 018
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	341 548	104 384

დირექტორი



ბესიკ ხაინდრავა

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2021	31.12.2020
განგრძობითი ოპერაციები			
ამონაგები	5	29 195 368	31 987 655
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(26 885 753)	(30 136 287)
		2 309 615	1 851 368
საერთო მოგება			
სხვა შემოსავალი		754 302	762 992
კომერციული ხარჯები	7	(753 323)	(835 679)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1 039 304)	(1 074 165)
სხვა ხარჯები	9	(361 287)	(1 063 122)
ფინანსური ხარჯები	10	(772 086)	(920 239)
მოგება დაბეგვრამდე		137 917	(1 278 845)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		137 917	(1 278 845)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(3 110 457)	(1 831 456)
წინა პერიოდების შეცდომების გასწორების შედეგი	11	25	(156)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(2 972 515)	(3 110 457)

დირექტორი



ბესიკ ხაინდრავა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2021	31.12.2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	12 6 662 837	7 070 352
არამატერიალური აქტივები	13 9 083	10 059
სულ გრძელვადიანი აქტივი	<u>6 671 920</u>	<u>7 080 411</u>
მიმდინარე აქტივები		
მარაგი	14 20 074 467	14 299 987
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15 4 615 114	4 773 338
საგადასახადო მოთხოვნები	16 418 462	-
ფულადი სახსრები	17 341 548	104 384
სხვა მიმდინარე აქტივები	17 025	98 729
სულ მიმდინარე აქტივები	<u>25 466 615</u>	<u>19 276 438</u>
სულ აქტივები	<u>32 138 535</u>	<u>26 356 849</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(2 972 515)	(3 110 457)
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>(2 972 515)</u>	<u>(3 110 457)</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	18 -	3 321 083
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	19 23 244 545	16 627 378
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>23 244 545</u>	<u>19 948 461</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20 3 218 802	2 319 926
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	21 8 585 935	7 106 111
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	22 61 768	92 808
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>11 866 505</u>	<u>9 518 845</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>32 138 535</u>	<u>26 356 849</u>

დირექტორი



ბესიკ ხაინდრავა

მიმაჩნია, რომ შპს „ცერერას“ მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით ართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

შპს „ცერერა“-ს

დირექტორი

ზესიკ ზაინდრავა


შპს ცერერა საქართველო ზუგდიდი რუხი
O.O. ЦЕРЕРА 2100 Грузия Зугдиди Рухи
L.T.D. CERERA 2100 Georgia Zugdidi Rukhi
swift code: BAGAGE22 iban number: GE05BG0000000126570200
ს/კ 220355886 tel +995599148055 E-mail: cerera2@yahoo.com

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ცერერას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ცერერა უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით შპს ცერერა ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ: გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია; და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს მმართველობის ანგარიშგება.

ჩვენი ვალდებულებაა ასევე, განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების თანხვედრილია.

აუდიტორი

კ. დათიაშვილი

12 სექტემბერი 2022 წ.